# ბროშურა

## ერასმუს+ ჟან მონეს მოდული

თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ERASMUS+ Programme
Jean Monnet Activities

ქუთაისის უნივერსიტეტი

# „ევროპის ციფრული სტრატეგია მომავალი მეწარმეებისა და ლიდერებისთვის“

# ზოგადი ინფორმაცია

ჟან მონეს პროგრამა მიზნად ისახავს ევროინტეგრაციის პროცესების შესახებ ცოდნის გაფართოებას სწავლების, კვლევებისა და დებატების მეშვეობით თემებზე, რომლებიც უკავშირდება ევროკავშირის ისტორიას, პოლიტიკას, ეკონომიკას და კანონმდებლობას, აგრეთვე ევროკავშირის მსოფლიოს სხვა რეგიონებთან ურთიერთობებს. პროგრამის ძირითადი ამოცანაა ევროპული განზომილების ჩართულობა უმაღლესი განათლების სისტემაში; იგი გაიხსნა 1989 წელს და  სახელწოდება მიიღო ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწის ჟან მონეს (Jean Monnet), ევროკავშირის ერთ-ერთი „არქიტექტორის“პატივსაცემად.

ამჟამად, პროგრამის საქმიანობა ვრცელდება 78 ქვეყანაში, ხოლო საგანმანათლებლო ქსელი მოიცავს 800 უნივერსიტეტზე მეტს. 2013 წლიდან ჟან მონეს პროგრამა ინტეგრირებულია Erasmus+ პროგრამაში.

თანადაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ERASMUS+ Programme
Jean Monnet Activities

ქუთაისის
უნივერსიტეტი

# ერასმუს+ ჟან მონეს მოდული ERASMUS-JMO-2022-MODULE 101078391 „ევროპის ციფრული სტრატეგია მომავალი მეწარმეებისა და ლიდერებისთვის“

**მოდულის საერთო მიზანი:** ხელი შეუწყოს ციფრული ინსტრუმენტების დანერგვას სხვადასხვა სფეროში საქართველოში სტუდენტების, აკადემიური წრეების და  პროფესიული ჯგუფების ჩართულობით, ინტერაქციული სწავლებისა და გამოცდილების  გაზიარების გზით.

**მოდულის მიზანი N1** ევროკავშირის ციფრული სტრატეგიული პრიორიტეტების გაცნობა და ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდა აკადემიური პერსონალისა (სტუდენტები, მკვლევრები და ა.შ) და სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებისთვის.

**შედეგი N1:** გაიზრდება ცნობადობა და ინტერესი ქართველ სტუდენტებსა და პროფესიულ ჯგუფებში ციფრული ეკოსისტემების, ციფრული ეკონომიკის და ხელოვნური ინტელექტის შესახებ.

**აქტივობები N1:**

ზამთრის და ზაფხულის სასწავლო კურსები (ზამთრის სემესტრის მოდული) მოდულის ძირითადი თემები:

- მომავლის ტექნოლოგიები: ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, Cloud;
- ციფრული ეკოსისტემები და პლატფორმები;
- ევროკავშირის ციფრული სტრატეგიის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში;
- ევროკავშირის ციფრული სტრატეგიის შესაძლებლობების გამოყენება კერძო კომპანიების ფინანსების მართვაში;
- რეგიონული შრომის ბაზრის შესაძლებლობები ციფრულ ეკონომიკაში.

- ტექნოპარკებში ვიზიტები;
- პროექტის წერის შესახებ სასწავლო კურსის ორგანიზება

თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ERASMUS+ Programme Jean Monnet Activities

ქუთაისის უნივერსიტეტი

## მოდულის მიზანი N2:

მოდულის მიზანია საქართველოში წაახალისოს დიალოგი აკადემიურ სექტორსა და სხვადასხვა ორგანიზაციების ტოპ მენეჯმენტს შორის ევროკავშირის ციფრული სტრატეგიის შესახებ.

## შედეგი 2:

შეიქმნება საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც ჩართული იქნებიან აკადემიური სექტორის და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. პლატფორმა დაეხმარება მათ, ევროკავშირის ციფრული სტრატეგიის ინსტრუმენტების გაცნობის საშუალებით, დანერგნონ ციფრული ტექნოლოგიები თავიანთ საქმიანობებში.

## აქტივობები 2:

- რეგულარული დისკუსიების ორგანიზება პროექტში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის;
- პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება;
- გამოცდილების გაზიარების მიზნით, ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე Jean Monnet-ის ქსელის სხვადასხვა ბენეფიციარებს შორის მრავალმხრივი დიალოგის გამართვა.
- პროექტის წერის შესახებ სასწავლო კურსის ორგანიზება.

თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ERASMUS+ Programme Jean Monnet Activities

ქუთაისის უნივერსიტეტი

## მოდულის აკადემიური კოორდინატორი:

**ალექსანდრე ასათიანი** არის ქუთაისის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი და გეტებორგის უნივერისტეტის ასოცირებული პროფესორი ინფორმაციული სისტემებში. ის ასევე არის შვედური ციფრული ინოვაციების ცენტრის მკვლევარი. ალექსანდრე კვლევა კონცენტრირებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე, დისტანციურად მუშაობაზე, და ორგანიზაციული პროცესების გაციფრულებაზე. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ინფორმაციული სისტემების დარგის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში, როგორებიცაა Journal of the Association for Information Systems, Journal of Strategic Information Systems, Information Systems Journal, Journal of Information Technology და MIS Quarterly Executive. ალექსანდრე ასევე ხელმძღვანელობს ციფრულ ლიდერობაში (Digital Leadership) სამაგისტრო პროგრამას გეტებორგის უნივერსიტეტში.

## მოდულის აკადემიური გუნდის წევრები:
## Academic Staff members of the Module

**ნიკოლოზ ჩიხლაძე** არის ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი. მისი კვლევები კონცენტრირებულია მაკროეკონომიკის და რეგიონული ეკონომიკის პრობლემებზე, ხოლო ნაშრომები გამოქვეყნებულია დარგის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში, როგორიც არის “Economic Alternatives”, “Bulletin of the Georgian National Academy of Science”, “Social Sciences Bulleting”, “Ovidius University Annals” და სხვა . არის 20 წიგნის ავტორი. პროფ.ნ.ჩიხლაძე ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „ეკონომიკური პროფილის “მთავარი რედაქტორია. სხვადასხვა უნივერსიტეტებში მისი ხელმძღვანელობით დაცულია 13 სადოქტორო დისერტაცია. მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჯილდო ეკონომიკის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის (UNESCO-ს მეცნიერების მსოფლიო დღეესთან დაკავშირებით, 2021).


თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ERASMUS+ Programme Jean Monnet Activities

ქუთაისის უნივერსიტეტი

**თეონა გრიგოლაშვილი** არის ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი, აქვს საქართველოში საჯარო და კერძო კომპანიებში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება, არის ბევრი საერთაშორისო პროექტის მონაწილე და თანაავტორი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია მონეტარული პოლიტიკის კვლევასთან. მას გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ჟურნალებში.

**პაატა კლდიაშვილი -** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერისტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, მისი სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არის: საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკა. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი - სტატია, მონოგრაფია და სახელმძღვანელო.

ის ასევე არის საჯარო ადმინისტრაციის ექსპერტი, რეგიონული განვითარების დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის 15 წლიანი გამოცდილებით. 2009 წლიდან 2015 წლამდე იყო საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის რეგიონული ოფისის დირექტორი, 2015-2017 წლებში პაატა კლდიაშვილი იყო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის უფროსი და ამ პოზიციიდან ქალაქ ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2016-2021 წლების სტრატეგიის ავტორი. შპს საქართველოს აუდიტორთა კომპანიის დამფუძნებელი, დირექტორი და აუდიტორი.


თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ERASMUS+ Programme Jean Monnet Activities

ქუთაისის უნივერსიტეტი

2022 წელი